წელიწადი მეცხრე.—№ 442

პარასკევი, 27 სეკტემბერი 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## თბილისის გუბერნიის აზნაურობას

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა მიიწვევს თბილისის გუბერნიის ყველა თავად-აზნაურებს, ვისაც კი ბანკის დამაფუძნებელთ რიცხვში შესვლა სურს** § 1, 1 შენიშ., 3 პ. თანახმად, **გამოაცხადონ თავისი სურვილი** ზედამხედველს კომიტეტში ქაღალდის შეტანით **ამ წლის თხუთმეტ ნოემბერზედ არა გვიან. განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ** ადგილობრივის უეზდის აზნაურობის წინამძღოლისა ანუ ჯეროვანის ქალაქის უფროსების **მოწმობა, თუ** საშუალო რიცხვით **რამდენი შემოსავალია** უძრავის (სოფელში ან ქალაქში მდებარის) ქონებისაგან, რომელიც განცხადების შემტანს ეკუთვნის.

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა უცხადებს თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს, ვისაც** გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღია და და არ შემოუტანია თავისი ხვედრი ფული ბანკის დასაფუძნებელი თავნის შესადგენად, **აგრეთვე იმათაც, ვისაც** ფული შემოუტანია, მაგრამ ამ ფულში კანონიერი კვიტანციები არ მიუღია, **რომ ფულების მიღება და კვიტანციების დარიგება უნდა მოხდეს ამ წლის ოქტომბრის პირველიდგან დაწყებული ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, შუადღიდგან ერთს საათამდის,** იქ სადაც დეპუტატთ კრება არის, თავადის ანდრონიკოვის სახლებში.

## შეცთომის გასწორება

„დროების" № 440-ში ჯანაშვილის სტატიაში მოხსენებული უნდა იყოს იმპერატორი კონსტანტინე VI და არა III.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

საადგილ მამულო ბანკის ზადამხედველის კომიტეტის განცხადებანი—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: სამდურავის მიზეზი—წვრილი ამბები—„დროების" კორრესპონდენცია: ნასაკოვიდგან ლეხურის ხეობიდგან—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—ნ ა რ ე ვ ი—საქართველოს ცხოვრებიდგან: ლიპარიტ ორბელიანი—განცხადებანი.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: თფილისის თეატრი, თეატრის მოყვარისა.

# საქართველო

## სამდურავის მიზეზი.

შემდეგის ნომრიდგან „დროების" რედაქციას ისევ უ. მესხი ჩაიბარებს, რომელიც საზღვარს გარეთიდამ დაბრუნდა და ეხლა თფილისში არის. მაგრამ სანამდის გაზეთის მართვას მის რედაქტორს გადავცემდეთ, ჩვენ საჭიროთა ვრაცხთ განვმარტოთ ორიოდე აზრი.

აგერ ერთი წელიწადია, და მეტიც, რაც „დროება" ჩვენს მზრუნველობაზედ იყო მონდობილი. ამ დროს განმავალობაში მიგვყავდა გაზეთი იმ განსაზღვრული მიზნის შესაფერათ, რომელსაც ველტვით, და საშუალების დაგვარათ, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო. მაგრამ აქა-იქ უკმაყოფილება გვესმოდა: რატომ „დროება" უკეთესი არ არისო? რატომ საყოველდღეო ინტერესებზედ და საჭიროებაზედ ვრა ლაპარაკებენო? და სხვა ამისთანაები....

ეს საყვედური საყოველთაო არ არის, მაგრამ თუ ჩვენს ყურამდის მოაღწია, ალბათ რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში, ალბათ რომელიმე ჩვენი მოქმედების ბრალი უნდა იყოს. მაშ ჩვენ ვალდებული უნდა ვიყოთ, ავხსნათ ეს ლიტერატულური, მოვლენა, დავანახოთ მკითხველს: როგორ გვესმის ჩვენ გაზეთის მართვა და თუ ვერ დავაკმაყოფილეთ ყველა მკითხველების მოთხოვნილება, ვისი ბრალია, ჩვენი გარემოების, თუ თითონ ამ საპატიო ხალხისა, რომელიც გვიცხადებს თავის გულნაკლულევანებას?

როდესაც ჩვენ „დროების" მართვას ვკისსრულობდით, სრულიად არ გვქონია მიზნათ, რომ უთუოდ მოვეწონებოდით საზოგადოებას, ნამეტურ ყოველს მის წევრს. ჩვენ კარგათ გვესმოდა' რომ მზგავს საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია, ახალი რედაქცია ბევრს უსიამოვნებას და სამდურავს შეხვდებოდა. მაგრამ ამ მოსაზრებამ ვერ შეგვაჩერა. ის კი არა, ჩვენ უფრო წაქეზებული ვიყავით' იმითი, რომ წინ უმადური ბრძოლა მოგველოდა.... ამ ნაირს მდგომარეობაში მივიღეთ „დროების" რედაქცია. რასაკვირველია, ყველა ჩვენი მკითხველისა და ჩვენი აზრი გაზეთის მნიშვნელობაზედ და ხასიათზედ ერთი და იგივე რომ ყოფილიყოს, მაშინ ეს ლაპარაკი სრულიადაც საჭირო არ იქნებოდა. მაგრამ სამდურავი, რომელმანაც ჩვენამდის მოაღწია, გვარწმუნებს, რომ ეს საქმე სულ სხვა და სხვა ნაირათ გვესმის ჩვენ და ზოგიერთ „დროების" მკითხველს. უთუოდ ამ საპატიოებს არ მიუციათ თავისთვის ანგარიში, რამდენი დაბრკოლება შეიძლება შეხვდეს მწერალს საზოგადოებრივი ცხოვრების სიღარიბის გამო და რამდენი დაბრკოლება კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო.... თუ რომ ამ ნაირს გარემოებაში გაზეთი უფერული, სუსტი, და უნაყოფო იყო, მკითხველი საზოგადოება ვალდებულია გამოიკვლიოს მზგავსი სამწუხარო მოვლენის მიზეზი, გაუადვილოს მწერალს საშუალება, მისცეს უვრცელესი ასპარეზი მის კალამს... თორემ ყველა ამ საფუძვლების გაწუკითხველათ გამსაჯულება, თითონ მსაჯულის უსამართლობას, ან გაუგებლობას დაამტკიცებს...

მაგრამ ჩვენ სულ სხვა მხრით გვამტყუნებენ. ზოგიერთი საპატიო მკითხველნი სჯის ასე: „მე გაზეთს იმიტომ ვიწერ, რომ თავი შევიქციო, გული გადავაყოლო. რათ მინდა თქვენი საზოგადო კითხვებისა და საგნების დაფასება? ამ მოვლენებს ვერ შესცვლის ვერც თქვენი წერა, და ვერც მე.

ეს მართალია, რომ ჩვენს ლიტერატურულ შრომას სრულიად არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, არც იმდენი საშუალება, რომ მან საზოგადოების შესამჩნევად, რომელიმე ბოროტებას, რომელიმე უხეირო და საზარელ მოვლენას ერთბაშათ ფრთა მოსტეხოს და საბრძოლველი საგანი ძირს დასცეს. მაგრამ არც ეს არის საეჭვო, რომ ყოველი ბრძოლა უსამართლობასთან ხალხის დამჩაგვრელ მიზეზებთან, საზოგადოების შეცდომილებასთან დღეს თუ არა, ხვალ, თუ აშკარად არა, შეუმჩნეველად მაინც მოიტანს კეთილს ნაყოფს.

თამამად მოვახსენებთ იმ საპატიოებს, რომელნიც გვესაყვედურებიან: „დროების" რედაქციას, ჩვენი ხალხისმდგომარეობაში, სახუმრო და თავის შემაქცევარი ლიტერატურა არ ესმის. ათას და ათი-ათას მხიარულს და უდარდელ მკთხველს ჩვენ ასი და ათასი ბეჯითი, საქმის გამომკვლეველი და საზოგადო ბედნიერების მსურველი გვირჩევნია.

ჩვენ ყოველთვის ერთი და იგივე მიზანი გვქონდა. ჩვენ ნიადაგ საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო აზრების გატარება გვსურდა. ხშირათ ეს აზრები პირუთნეველი და საწყენი იყო იქნება საზოგადოებისათვის, მაგრამ არას ოდეს კი ყალბი და უმართლო არ ყოფილა.

# ფელტონი

## თფილისის თეატრი

თბფლისის თეატრი, ჩვენი თეატრი! რამდენს მეფელტონეს გაუჩარხავს თავისი კალამი ამ საგანზე წერისათვის! თეატრისთვის რამდენს ქალს უტირნია, უცინია, ულაქლანდარავნია! რამდენი მამა-კაცი გაუბრაზებია და აუყეფებია, ვინ იცის და მოსთვლის ყოველ გრძნობას და აზრს, რაც ადამიანს გამოუვლია თეატრში, თეატრის მომხრეობით და წინაალმდეგობით! ამბობენ, ერთს დროს როდესლაც ამ ყოველგვარმა მღელვარებამ ისეთი ფილოსოფოსები დაჰბადაო, რომ თვით ყოველგვარს მშვენიერს ხელოვნებას პირი შეაქციესო და უსარგებლო საგნათ ჩარიცხესო. ამ გარემოებამაც სხვა ფილოსოფოსები წარმოაჩინაო, რომელნიც ზემოხსენებული ფილოსოფოსების ლაპარაკს ჩვენი სოფლის მკითხავების ლაპარაკს ადარებენ, რადგანაც იმათაც არც ხელოვნებისა და არც სწავლისა არა სწამთ რა, თუმცა კი ამ მკითხავებს თავი ხალხის წარმომადგენელათ მიაჩნიათ.

აი ესეც შენი თეატრი! რამდენი რაგინდარაები მათქმევინა. მაგრამ რა გაეწყობა სოფლის მუხთლობასა, ქალაქში მცხოვრები კი არა, სოფლის მცხოვრებიც კი ეხლა შორს არ უდგება თეატრსა. სოფლებშიაც მართავენ წარმოდგენაებსა და ქალაქის თეატრზე როგორ უნდა დავიდუმოთ. ქალაქში მაღალიც და დაბალიც, გენერალიც და კინტოც უთეატროთ არა დგება, ასე გაშინჯე დღიური მუშა კაცებიც კი მიდიან თეატრში. მე სწორეთ გითხრა ეს მე არ მაწუხებს, პირიქით მამხიარულებს და წარმატებასა ვხედამ. ამიტომ რომ რუსთველმა, თუ გახსოვთ, მარტო სიკვდილზედა თქვა, რომ

მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანიო.

ჩვენ ახლა თეატრზე შეგვიძლია ესა ვსთქვათ. ღმერთს მადლობა როგორ არ უნდა შევსწიროთ, რომ ამ წუთ სოფელშიაც ერთი პატარა კუნჭული მოუნიჭებია ჩვენთვის, რომ ყოველნი თანასწორათ ძმებსავით იყვრებით.

რა თეატრი გვაქვსო, რის თეატრიო? რომ მკითხოთ, მე შორიდამ არ მოგიყვებოდით; მაგრამ არა, მოდი შორიდამ დავიწყებ. ამ ოციოდ წლის წინად გრაფმა სოლოგუბმა დასწერა და თორმეტიოდ წლის წინათ, ვგონებ, ანტ. ფურცელაძემ „ცისკარში" გადმოსთარგმნა: „ქორწილის წინ სიზმარი," რომელშიაც საქართველო ათასის წლის შემდეგ გამოყვანილია. ამ თხზულებაში ქალაქში მრავალი თეატრებია, ასე რომ ქართულს სხვა შენობა აქვს, რუსულს სხვა, იტალიურს სხვა. ბევრი რამ არის მოხსენებული, მაგალითად დუშეთში დიდი აკადემია მხატვართა, რომლისაგანაც წარმოებულა დიდი საქართველოს მხატვრობითი შკოლა, თანასწორი იტალიის შკოლისა. მე ძალიან დამახსოვდა თეატრების სიმრავლე და ამ ჟამად მაგონდება და ვფიქრობ, რომ რადგანაც მარტოკა ასი წლის მეოთხედსაც არ გაუვლია გრაფის სოლოგუბის ნაწარმოების შემდეგ, ამისათვის სულ უკანასკნელი დრო რომ ავიღოთ, რვაას-ცხრაასი წელიწადი მაინც უნდა გავიდეს, სანამ ქართული საკუთარი თეატრი გაკეთდება შვილთა და შვილის-შვილთა ჩვენთაგან.

მაშასადამე ქართულ თეატრზე ლაპარაკი არ მექნება და ეს მიგდებული და დავიწყებული საგანი გირჩევ, მკითხველო, შენც მიაგდო და დაივიწყო.

ჩვენ აგერ ოცდახუთი წელიწადია ერთი თეატრი გვაქვს და არის იტალიანურის და რუსულის წარმოდგენებისათვის. აქ წელიწადში ერთხელ ქართულს წარმოდგენას და ოხიოდე სომხურს დრო ძლივს ეძლევა და ზოგჯერ იმისთანა წელიწადი ხვდება, რომ ვერც კი ხერხდება, რადგანაც მუდამ დღე წარმოდგენაა ხოლმე. მოსიარულე ხალხი ამ თეატრში პირველათ გულმხურვალეთ დადის, მერე და მერე გრილდება, სანამ ახალი რამ ცვლილება არ მოხდება წარმომდგენლების და დამკვრელებისა.

ორიოდ წელიწადია ქალაქის თეატრში იტალიური ოპერები აღარ იყო, ხალხი გაგრილდა თეატრში სიარულზე, უნიჭოდ ნაწერ პისების ყურებაზე, უნიჭო აკტიორების წარმოდგენაებზე და თუ დადიოდა ვინმე, მოწყენილობისაგამო დადიოდა; საზოგადოთ თეატრი თითქმის მაყურებლებისაგან ცარიელი იყო, და იქამდინ მივიდა, რომ ზოგჯერ, როგორც გაზეთები იწერებოდნენ, თითო წარმოდგენაზე ათიოდ კაცზე მეტს ვერა ნახავდით და თითო ჯერობაზე სამიოდ თუმანი შემოდიოდა. ოფენბახის ოპერეტტებს თუმცა პირველათ ხალხი ატყდებოდა და შემდეგ ამაზე მაინც მომატებულათ დადიოდა, ვიდრე სხვა სპეტაკლებზედ, ეს მუზიკისა და ბალაგანური აშიყობის სცენებისთვის დადიოდა და არა პიესის ნამდვილი ღირსებისათვის, რომელიც ზოგიერთ ოპერეტტებსა აქვთ, მაგრამ ქალაქის სცენაზე იკარგება სრულებით.

ახლა ოპერების წარმოდგენა დაიწყო ამ ენკენისთვის 21-სა. ხალხი დიდის მოუთმენელობით მოელოდა წარმოდგენას და ბილეთები რამდენისამე დღის წინათ სულ დაიტაცეს. ამბობენ დანიშნულ ღამეს მანეთიან ბილეთებს ვაჭარი ბიჭები სამ-სამ მანეთათ

ჩვენ ყველაფერი შევწირეთ, ოღონდ რომ ჩვენი დროის მოთხოვნილება და მოვალეობა გაგვეგებინებია საზოგადოებისათვის... მაგრამ, თუ ეს განზრახვა უნაყოფოთ დაშთა, ჩვენ ვსწუხვართ უფრო ჩვენი მკითხველებისთვის და არა ჩვენთვის.

## წვრილი ამბები

— ზურულები ამ წლით ძლიერ კმაყოფილნი არიან. ისინი იმდენს ღვინოს მოელიან, რომ ოცი წელი იქნება არ მოსვლიათ. სიმინდი და ღომი საკმაოთ გვექნებაო, იწერებიან, და მასთან ავათმყოფობაც წინ, წლებზედ ნაკლებიაო.

— ამას წინეთ „დროების“ რედაქციაში წარმოადგინეს ორი წიგნი უფ. ზარაფოვის განცხადებისგამო, რომელიც სასყიდელს პირდებოდა ქართულს ენაზედ შედგენილის სახელმძღვანოებისათვის. ერთი ამათგანი, რომელშიაც შემოკლებით ყველა უმთავრესი საშოკოლო საგნები იყო აწერილი, კომისიამ უვარგისად იცნო. მეორე წიგნი — „ძველი აღთქმის ისტორია,“ დაუბრუნდა ავტორს შესაწორებლად. ეხლა მესამე წიგნი მივიღეთ: „სურათები საქართველოს ისტორიიდგან“ მეთორმეტე საუკუნემდის. ამას გარდა გვპირდებიან ფიზიკისა, ფიზიკური გეოგრაფიისა და საყმაწვილო წიგნის წარმოდგენას, რომელთაგან უკანასკნელი ჯერ იბეჭდება და მერმე კამმისიას გარდაეცემა განსახილველად.

— 1871 წ. 30 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულის წესდებით გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში უნდა მიღებულიყვნენ: მოსამზადებელ კლასში — რვა წლის ყმაწვილებზედ არა უცროსი და ათის წლისაზედ არა უხნესი. მაგრამ ამასთან ესეც დაწესებული იყო, რომ პირველს კლასში ათის წლისაზედ უცროსი არ უნდა მიეღოთ და ერთ კლასში ვინც ორ წელს გაატარებდა, ის უნდა გამორიცხულიყო.

რადგანაც უწინ უფრო უცროსს ყმაწვილებს (7 წ.) იღებდნენ გიმნაზიებში და უფრო დიდის ხნით დარჩენა შეეძლოთ მოწაფეებს ერთსა და იმავე კლასში, და უცებ ამ კანონის ახალზედ შეცვლა ბევრის დედ-მამისთვის დამაბრკოლებელი იქნებოდა, ამიტომ, სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის შუამდგომლობით, მისმა უმაღლესობამ კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანა, რომ პედაგოგიური რჩევისა და მზრუნველის ნებას დართვით ზოგიერთ შემთხვევაში დროებითად ისევ ძველის კანონის ზოგიერთი მუხლებით იხელმძღვანონ.

— ტფილისის მცხოვრებთათვის საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ უფ. ტფილისის გუბერნატორი მირზოევის სახლიდგან თ. გ. რ. ერისთვის სახლში გადავიდა, ლაბორატორიის და ერმოლოვის ქუჩის კუთხეში, საქალებო ინსტიტუტის პირდაპირ.

— რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ მმართებლობა ჰფიქრობს, პოლიციის და მომრიგებელი მსაჯულების კანცელარიებში ქალებს სამწერლო თანამდებობის ასრულების ნება მისცესო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. ნაესაკოვი 8 სეკტემბერს.

დღეს აღსრულდა დიდის ყოფით ერთი ჩვენი ქვეყნის ძველის-ძველი წესთაგანი ს. ნაესაკოვს სენაკის უეზდში. აი თითქმის ერთი წელია, რაც მე ამ მხარესა ვარ და ეს მესამედ ვპოულობ ამ ძველი წესის აღსრულებას სენაკის უეზდში. არა თუ აქ ყველა ჩვენის ქვეყანის მხარეებში ამ გვარი წესები, რომლის გამო დიდი ზარალი მოსდის საწყალ ხალხს... ღამამდე მეშვიდე დღე ენკენისთვისა, დღე მიილია და ბინდი გაძლიერდა. შეიქმნა ერთ მცირე ხის ეკკლესიასთან ყოველის მხრით ხალხის მოსვლა. უცხო მნახველი იფიქრებდა: „ეს კაცები ან რამე დიდი საქმისთვის მოსულან ან და ყველანი სულელნი, ან ჭკუისაგან შეშლილნი არიან და რას შვრებიან არ იციანო. საათი არ გათავებულა (ეს იყო ღამის მეშვიდე საათი) და გაივსო ეკკლესიის დიდი მოედანი კაცით და ქალით. ამ დროს მე ვფიქრობდი, რისთვის მოვიდნენ ეს ამოდენა ხალხი. გულმა აღარ მომითმინა და ვკითხე ერთს ჩემს ახლო მდგომს ხალხის შეგროვების მიზეზი და მან ჩემ კითხვაზე ეს მიპასუხა: „ეს ადამიანები, ბატონო, ამ ეკკლესიაზე ღამის გასათევათ მოსულან, რადგანაც ამათ აღთქმა აქვსთ დადებული ღმერთთან“. ნუ თუ ყველანი ღამის მთევლები არიან? ვკითხე. არა აქ ღამის მთეველი, ბატონო, ორმოცი თუ სამოცი ქალი და კაცი იქნება; სხვები, ვისაც ხედავთ, დროების გასატარებლათ და შესაქცევლათ მოსულან. თქვენც შეგიძლიან აქ დარჩეთ ამაღამ და დროება გაატაროთ... იცით რა ამბავი იქნება? ცეკვა, სიმღერა, დაირა, თუ გნებავს ჩხუბიც კი იქმნება. მერმე როგორი? ხმალი-და-ხმალი. სანახავს უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავს! ეს სიტყვები არაფრათ მეჭახნიკა, ვთქვი გულში: ამ გვარი მოქმედება რომელი სარწმუნოების ხალხს უნდა ეკუთნოდეს მეთქი, და შინ წასვლას დავეპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე. 1-ად მისთვის, რომ ჩემი სადგომი აქედგან შორს იყო, ვინც მიმიყვანა ამ ადგილს, იგი არ წამყვა შინ და მარტო გზას ვერ გავიგნებდი; 2-ედ მისთვის, რომ გზებზე ცუდი კაცები იყვნენ, რომლებიც მარტო მიმავალ კაცს უკანასკნელ პერანგამდი წაართმევდნენ, რაც კი ექმნებოდა. ბოლოს რა კი წასვლას არა მოეწყო რა, უნებურათ დავრჩი, მაგრამ რა ვპოვე? ის რაც უწინ მობაასე კაცმა მითხრა: ზოგან ცეკვა, ზოგან სიმღერა, აქ ჩხუბი, ღვინის სმა, ლოთური სიმღრა და სხვანი და სხვანი. . . . ამის მნახველ გულმა ვეღარ გაიძლო, მუხლი მოვიკეცე და ერთ ალაგს დავჯექ, მაგრამ ჩემს ჯდომას დიდი ვადა არ მიეცა. მოვიდა მთვრალი თუ გიჟი გროვა კაცებისა და სურდათ თავს დამცემოდნენ. როგორც იყო ვისწრაფე ადგომა და თავი დავახწიე ამათ სიგიჟეს. ცუდი მოქმედებები თან და თან ძლიერდებოდა. გათავდა დილის ხუთი საათი და ეს ჩვენი ღამის-მთეველები აქვე არიან. ახლა კი გულმომკვდარმა ვთქვი: ვაი ჩვენი ქვეყნის ბრალი! იმათი შემხედვარე მომავლის იმედს უნდა ჰკარგვიდეს. არა, რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ მათგან. ეკკლესიასთან რაც ხალხი იყო, ეს ახლო მახლო სოფლელები იყვნენ. ახლა თვითონ ამ სოფლის მაცხოვრებლები, ვნახოთ, რამოდენ უზომო და ფუჭ ხარჯშივარდებიან. თითო კომლს ათიდგან ოცამდის მაინც ეყოლება სტუმარი, რომლისთვის ეხარჯვის, სულ რომ ცოტა ვთქვათ, სამი თუმნის ღვინო, პური და შექამადი. ეს რისთვის? სიბრიყვისთვის. დაჯდა, მოიპატიჟა სტუმარი და დრო გაატარა. აი ეს გახლავს ჩვენი ხალხის ძველის-ძველი ჩვეულება. ამ გვარ წესებს და ჩვეულებებს, არც ერთი ჩვენი ქვეყნის სოფლები არ არიან მოკლებულნი, ასე, რომ სოფელი არ არის ორი ამ გვარი უპრალო ხარჯი არ გასწიონ წელიწადში, რომლით საწყალი გლეხი ღარიბდება და ყველაფერ სიკეთეს მოკლებულია. აბა რამდენათ ეღირება ამ გვარი ხარჯების მოსპობა, ამ გლეხებმა რომ ეს ხარჯები მოსპონ და იმ ექვსი თუმნის ნაცვლათ, რომელიც ყოველ წლობით ეხარჯება მათ, გადინახონ თითო თუმანი და ან ბანკი დააწესონ, ან და შკოლა გაიკეთონ. აი მხოლოდ მათი მომავლის გამაუმჯობესებელი საშუალებები.

ანთიმოზი.

ლეჩხუმის ხეობიდამ. 1 სეკტემბერს.

მე ბევრგან გამიგონია, რომ ქართველი გლეხები ძალიან ზარმაცი ხალხი რომ არ იყოს, უეჭველია, ამისთანა მდიდარ ბუნებაში, როგორიც არის საქართველო, თუ მდიდრულათ არა, წესიერათ მაინც იცხოვრებდენო. მე არც ამის წინააღმზდეგს და არც დასამტკიცებელ საბუთებს არ მოვიყვან აქა; მე მხოლოდ წარმოუდგენ მკითხველს რამდენსამე ჩემის თვალით ნახულს ფაკტს, საიდგანაც დაინახავს, რომ ამისთანა გარემოებებით მოცული კაცი, როგორებითაც არის მოცული ქართველი გლეხი, რაც უნდ მშრომელი იყოს იმისთვის სიღარიბის და სიღატაკის აცილება შეუძლებელია.

რამ აცხოვროს კარგათ გლეხი, როდესაც მრავალნი იმის ოფლით იკვებებიან და იმის მაგიერ, რომ ყველამ ხელი წარუმართოს და შეღავათი მისცეს, იმას თავის საკუთარის შრომით მოპოვებულს ლუკმა პურს აღარ არჩენენ? აბა, რა ქმნას საწყალმა გლეხმა: სახელმწიფო მოთხოვნილებას თავიანთ მოხელეებს, ვაჭრების ვალს აუვიდეს, თუ თავისი საკუთარი საჭიროებები კარგათ დააკმაყოფილოს, მაშინ როდესაც იმას არავითარი შრომის გამაადვილებელი სახსრები არ მოეპოება და შეუპოვრათ ებრძვის ბუნებას მხოლოთ ერთი თავის საკუთარი ფიზიკურის ძალით?!... როგორ გააუმჯობესოს ამისთანა გარემოებებით გარემოცული კაცის ცხოვრება მარტო ბუნების სიუხვემ და საკუთარმა შრომამ? ჩვენ ვიცით, რომ ბუნება უშრომლოთ არას მისცემს კაცს და შრომა, როდესაც ასზე ერთი შრომობს კარგს ნაყოფს არ მოიტანს. კარგი ცხოვრება მხოლოდ იქ მოხერხდება, სადაც შეძლებისამებრ ყველა შრომობს. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი გლეხები ზარმაცები არიან და იმისთვის ცუდათ სცხოვრებენო. ამისთანა ცილს ის დასწამებს ქართველ გლეხებს, ვინც სრულებით არ დაჰკვირებია იმათ ცხოვრებას, თორემ, არამთუ ზარმაცები არ არიან, საცოდავათ ზედ ელევიან საქმეს საწყლები. ზარმაცობა გლეხებს კი არა და სხვა ქართველებს კი ეთქმის, რომელნიც რიცხვით თითქმის აღემატებიან გლეხებს...

---

ჰყიდდნენო. ჯერ რვის ნახევარი არ იქნებოდა, თეატრის ზალა სავსე იყო. დანიშნული იყო ვერდის პატარა ოთხ მოქმედებიანი ოპერა: „მასკიანი ბალი.“ ორკესტრმა, 35 კაცისაგან შემდგარმა, დაუკრა, ხალხი ყურადღებას მიეცა, მაგრამ თითქმის ძველ შარშანდელ 15 კაცისაგან შემდგარ ტრუპპასთან განსხვავება ვერა ნახა. ორკესტრმა შთაბეჭდილება ვერა მოახდინა რა ისმენელებზე, რომელთაც კარგა ახსოვთ ძველი ოპერის ორკესტრის უკეთესობა

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, ხალხი მრავალს ტაშსა სცემდა და ბრავოს იძახდა, ეტყობოდა, რომ იამება იტალიური ოპერა და უყვარს იმისი მოსმენა. ეს ყველამ იცის ჩვენში, რომ ქალაქის ხალხი სიმღერისა და საკრავის მოყვარულია და ოპერებიც ამისგამო უყვარს. ოპერას ჩვენს ქართულს თეატრზე, პირველ დაწყების დროსვე, გვერთ მეზობლობის გამო, გავლენა ჰქონდა, ქართულ თეატრთან ერთ დროს გამოჩნდა. ქალაქში იმის გავლენის ქვეშ მკვრელი და მომღერალები აღიზარდნენ, თვით ჩვენი ძველებური ქუჩის სიმღერის ჰანგიც შესცვალეს და სოფელშიაც შეიტანეს. არ შეიძლება რომ ამისთანა გავლენიან რასმე ხალხი გულგრილათ დაუხვდეს ორი წლის უნახველობის შემდეგ. 1851 წლიდგან ორჯელ შესწყდა და ორჯელვე განახლდა. ტფილისის საზოგადოებაში მოთხოვნილება მუზიკისა უფრო და უფრო გაღვიძა, გემოვნება გაუხსნა. თუმცა დიდ ძალ ფულათა ღირს, მაგრამ ამ საზოგადოების მოთხოვნილებისგამო არ იკეტება ოპერა. მაგრამ ამასთანავე რადგანაც პუბლიკის გემოვნებაც იხსნება, მუდამ საჩივარი ისმის არტისტებზე და ამის გამოც თან და თან ხარჯი ემატება. ორი წლის ოპერის დახურვის მიზეზი, როგორც გაგვიგონია, ის ყოფილა, რომ წინა წლებში მეტი ხარჯი გასულა, იმოდენი ხარჯი, რომელიც განწესებით ორს წელიწადს უნდა ჰყოფნოდა.

ამ ჟამათ პირველ წარმოდგენას რომ დავაკვირდეთ, ძალიან საეჭვოა, რომ ტფილისის საზოგადოება დაკმაყოფილდეს თეატრის მოიჯარესა უფალ იაბლოჩკინს: პირველი საცდელ და გასაცნობ წარმოდგენათ ისეთი ოპერა დანიშნა, რომელიც შესანიშნავი არ არის არც მუზიკით. არც შინაარსით, არც გარეგანის და არც შინაგანის ღირსებით. ამ ოპერაში მომღერალზე კაცი ვერა ფერს გადაწყვეტილათ ვერ იტყვის, თუნდა კარგათაც იმღეროს, და თუ კარგა ვერ იმღერა, მაშინ ხომ უფ. იაბლოჩკინს ცუდი საქმე მოუვა. ცუდი ანგარიშის კაცი ყოფილა.

რა ხმის პატრონები გამოვიდნენ ახალი არტისტები? პრიმადონნა პაპინის დაბალი სიმპატიური ხმა აქვს, მაგრამ მაღალ ნოტებში კი ჰკარგავს ამ სიმპატიერობასა. მიხვრა-მოხვრა კარგი აქვს, და მხედველობაში რომ მივიღოთ ეს მიხვრა მოხვრა, სიმპატიურობა ხმისა და ამასთანავე „მასკიანი ბალის“ სიადვილე, ამითი შეგვიძლია ავსხნათ პუბლიკის კმაყოფილება, რომელსაც არც აღტაცება ეტყობა, არც გულ-გრილობა. მეორე ქალი ტრებბი, კონტრალტოს ხმა ძალიან დაბალი აქვს, არც კი ისმის ორკესტრის მაღლა დაკვრის დროს და არც სხვა მომღერალებში. ეს არტისტი საკმაოთ გულგრილათ მიღებული იქმნა; მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში ცეკვაობის დროს მიიღო პუბლიკისაგან ტაშის კვრა და ბრავოს ძახილი. ეს ადგილი სამჯერ ათქმევინეს. (ტფილისის პუბლიკას მეტადრე გალერეისას ცეკვის გამეორება ოპერებში საზოგადოთ რჯულათა აქვთ.) ძველთავე მცნობი აქაურს ოპერებში ბაკი-პერეგო ბარიტონი მ-ილეს გამოსვლისათანავე დიდის აღტაცებით და ტაშის კვრით. ეს არის საკმაოთ კარგის ხმით მომღერალი, თუმცა ხმის შემუშავებაში და მიხვრა-მოხვრაში ნაკლულია. ადრეც უყვარდა პუბლიკას და ეხლა იქნება უფრო შეიყვაროს, რადგანაც, როგორც შევამჩნიეთ პირველ წარმოდგენაში, ის მოუხეშაობა ხმისა აღარ ეტყობა, რომელიც ადრე ძალიან აუშნოებდა იმის გალობასა. ტენორი ცუკკი იმ გვარისავე ხმისაა როგორც პაპინი, ესე იგი სიმპატიურობა აქვს დაბალ ტონებში, და მაღალში კი თავისუფლება და შემუშავება არ ეტყობა. ტენორი კარგათ მიიღო პუბლიკამ. ამ შემოკლებულს თვალის გადავლებას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თვით ბოლომდის ოპერაში ზემოხსენებულ ადგილს გარდა ერთი ადგილი არ გაუმეორებინებია არტისტებისთვის პუბლიკას, თუმცა კი ტაშის კვრა და ბრავო ხშირად ისმოდა. ეს მგონია უფ. იაბლოჩკინმა უნდა კარგა შენიშნოს. ნუ თუ მთელ ოპერაში ორიოდ იმისთანა უცეკვაო ადგილი არ იპოვება, რომ გამეორების ღირსი ყოფილიყო!

მომავალში ვნახავთ რა იქნება, და ჩვენი ეჭვი გამართლდება თუ არა ეხლანდელ არტისტებზე, ეს გამოჩნდება შემდეგ ოპერებში.

მაგრამ აქ ერთს კი ვიტყვით. ზაიმართა ეხლა წარმოდგენაები იტალიური და რუსული, მუდამ დღე ერთი მეორეს მიჰყვება, ისე რომ წარმოდგენა ერთს დღესაც იქნება არ ასცდეს. ცუდი შედგენილობა რუსული ტრუპპისა და სისუსტე იტალიურისა ჯერ პირველათ კი თავს არ გამოიჩენს, მაგრამ მალე კი პუბლიკა მიხვდება და მობეზრდება. რასა იქს მაშინ უფალი იაბლოჩკინი?

თეატრის მოყვარე.

მაგრამ მე ძალიან შორს ვაპირებ წასვლას ჩემის საგნიდამ და ამისათვის ისევ იმას უნდა მიუბრუნდე. მკითხველს დავპირდი ზემოთ, წარმოუდგინო რამოდენიმე გულის ასამღვრევი ფაქტი ჩვენი ქართველი გლეხების ცხოვრებიდგან, რომლების მნახველიც მე თითონ ვარ. მე აქ მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა შევიწროებაში არიან გლეხები მოვაჭრეებისაგან და სხვებისაგან. ეს კი უნდა წინათვე ვსთქვა, რომ მე იმ აზრისა არა ვარ, რომ ვითომ გლეხების სიღარიბის მიზეზი მარტო ვაჭრების და სხვების მტაცებლობა იყოს. რასაკვირველია აქ მრავალი სხვა მიზეზებიც არიან და მათ'ში ყველაზე უმთავრესი მიზეზი კი გაუნათლებლობაა. გლეხები რომ განათლებულნი იყვნენ, უეჭველია, ბევრს ცხოვრების გამაუმჯობესებელს ღონის-ძიებას მოიპოვებდენ და ამასთანავე არავის ასე არ აეკლებინებოდენ, როგორც ეხლა. მაგრამ ამაშიც რა ბრალები არიან გლეხები? თითონ არ ესმით განათლების ძალა და ვისაც გვესმის იმათს განათლებას არ ვცდილობთ. არა, ამის თქმა არა მაქვს მხედველობაში; მე ვაჭრებზე იმისთვის დავიწყე ლაპარაკი, რომ ეს ყველამ იციან, რომ მთელი ჩვენი სამშობლო ლამის იმათ დარჩეს და ჩვენ უადგილ-მამულო დაგვყარონ და ახლა ისიც უნდა ვაცნობო მკითხველს, თუ რას უშვრებიან ესენი ჩვენს გლეხებს.

ეხლა აქ, ლეხურის ხეობის სოფლებში ლეწვაა და გულის საზარელი სურათი წარმოგიდგებათ, რომ შეხედოთ ტომრებით და უშველებელი ჩანახებით კალოებზე მდგომს მოვალე ვაჭრებს. ყველა სოფელში ისე ირევიან, როგორც ბუზები. მე დავარწმუნებ მკითხველს, რომ მე ჩემის თვალით მნახველი ვარ, რომ ზოგი ერთა კალოზე ათ-ათი და კიდევ მეტი ვაჭრები სდგას ხოლმე და შესცქერის გალეწვის გათავებას. ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ამათ რო თავისი უშველებელი ტომრები აავსონ პურით, საცოდავს გლეხს რაღა დარჩეს და რიღათი „იცხოვროს კარგათ“? ერთის სიტყვით დიდ შეწუხებაში არიან ვაჭრებისაგან აქაური გლეხები და სხვაგან კი რა ვიცი. აბა როგორ საგრძნობელი არ არიან შემდეგი შემთხვევები!

სოფელს ქ—ში ერთი ვაჭარი ჩამოხტა ღვდლის სახლში. ამავე სოფელში იყიდა ძროხები და დაკლა და იქაურ გლეხებს მიჰყიდა. ერთის მხრივ სასაცილო და მეორეს მხრივ სამწუხარო იყო იმ სასწორის დანახვა, რომლითაც ეს ხორცსა სწონავდა: ორი რგვალი შამჭვარტნული ფიცარი უშველებელი თოკებით აწიბული შეადგენდა ამის სასწორს. რო გენახათ არ დაიჯერებდით, რომ ის წარღვნის წინათ გაკეთებული არ იყო—ისეთი რაღაც რამ იყო. ღადებულის, რკინის საწონის მაგივრათ, ქვებით სწონავდა ხორცს და თითო გირვანქის წონა ხორცში სამ-სამ ჩანახს პურს აწერდა გლეხებს *). ერთი ქვრივი დედაკაცი მარტო ძროხის ფაშვს შეევაჭრა და იმაში ორ ჩანახ-ნახევარი პური სთხოვა. ქვრივმა ერთი და ნახევარი შეაძლივა და არ ვიცი მორიგდენ თუ არა, რადგანაც ამის მნახველს მე ძალიან გული ამემღვრა და თვალი მოვარიდე.

ეს არაფერი. მე მიველ ს. ს—ს., სადაც ერთ კალოს შორი ახლო ჩამოვხტი ცხენიდამ გრილოში შესასვენებლათ. შუადღე იყო და იმ კალოზე ერთი მოხუცებული გლეხი გახურებული ლეწავდა პურსა. ამდროს მოადგა ამ გლეხს კალოზე ერთი ცხენოსანი, ჩოხა და ჩექმებ დაგლეჯილი, დოინჯ-შემოყრილი და ქუდ-ჩაკეცილი აზნაური და შეჰყვირა:

— შენ, ეი, ანდრიავ! არა შე მამა... (ერთი კარგი შეუკურთხა) დრო არ არის, რო ჩემი მეოთხედი მამიტანო? რატომ არ მოგაქ? შენ როგორღაც ჩემი მათრახების გამო დაგვიწყებია და ხო არ გინდა რო ერთი-ორი ჩემებურათ გისართო?

— რავქნა, შენი ჭირიმე, ბატონო,—უთხრა მწარის ღიმილით ანდრიამ,—აქამდინ არ მეცალა და აი ეხლა მიირთვი.

აზნაური ჩამოხტა ცხენიდამ, აიწყო იქვე კალოს პირზე შეგროვებული პურიდამ მეოთხედი, აჰკიდა იმავე კალოზე მდგომ ახალგაზდა გლეხს და წაიღებინა შინ. რამდენიმე წამის შემდეგ მოვიდენ აქ ორი მოლოზანი და ერთი ბიჭი რაღაცა ქაღალდით, რომელშიაც, როგორც ყური მოვჰკარ, როდესაც ანდრიას უკითხავდენ, ეწერა ვიღაცას ბრძანება—ეს დედანი „მოსარეწათ“ დაიარებიანო და ყველამ პური მიეცითო. აუწყო ანდრიამ ამათაც ზარმაცათ პური და გაისტუმრა. ამათ შემდეგ მოვიდნენ მთავარი და დიაკვანი, საჩქაროთ აიწყეს პური, ტომარა იქვე დადგეს, და უბრძანეს ანდრიას, რომ იმას ეს ღვდლის სახლში მიეტანა. ახლა მოვიდენ ახალგორელი უაზარა და დარჩო და დაუწყეს ამათაც პურის თხოვნა.

— დამაცადეთ, თქვე ოჯახდაქცეულებო,—შეჰყვირა მწარეთ დაღრეჯილმა ანდრიამ,—პატა სული მომაბრუნებინეთ და მოგცემთ.

— მა,—დაიღრიალა უაზარამ,—არა გრცხვენიან? შარშან შამეხვეწე ცოტა მამივიდა დამაცადეო, მეც დაგაცადე, სიკეთე გიყავ და, სიკეთის მგაიერათ, ბუნტიანობ, არ იძლევი?

— აი მეტი სიკეთე ნუ შეიყვანოს შენ ქოხში აი მისმა მადლმა, რაც მე შენ სიკეთე მიყავი,—ანდრიამ სთქვა და უჩვენა ხელებით ცაზე.

— ხედამ ამ ყურუმსაღს? ბანა ამისთანა უპირო ხალხმა გაგონილა?—მობრუნდა ჩემკენ უაზარა და მერე, რო არ შევხედე, დაუწყო ჩხუბი ისევ ანდრიას, რომელმაც, მეტი ღონე რო აღარა ჰქონდა, აიღო და მისცა ვალი.

სომხები რო წავიდნენ, მე დაუწყე ანდრიას ბაასი და აი რა მითხრა:

— ეს ჯერ ცოტა გინახამს, შეიჭიიმე ბატონო! ჯერ სად არიან: ახლა ბერები დაივლიან, მერე იმათ ურიები მოჰყვებიან, მერე მერუეეები, მერე მეველები და ჩვენი სოფლის მოხელეები. ჯანი გავარდეს ყველას, როგორც იქნება, აუვალთ, რომ ეს ღვთისგან წყეულები ვირიჭამია *) ახალგორელელები არ გვანადგურებდენ; შარშან, შენიჭიიმე ბატონო, ამ ჯღანია უაზარასი მემართა სამი კოდი პური, შარშან ვერ მივეცი და აი ეხლა სამის მაგიერაუ ექვსი წამართო და კიდევ ამბობს სიკეთე გიყავიო... მაგის მეტი სიკეთე ნუ შაიყვანოს ღმერთმა მაგის ცოლ-შვილში. ეჰ, შეიჭიმე ბატონო, ჩვენ გაჩენაში ღმერთი არა რევია, თორემ ეგენი ჩვენ როგორ უნდა გვატყუებდენ? მოვლენ გაზაფხულზე, დაუკვებენ კოდ პურ მანათათ, კალოობისას აიკრეფენ და მერე ზამთარში ისევ ჩვენვე მოგვყიდიან ხოლმე ხუთ მანათათ.

— ვისი ბრალია, ჩემო ძმაო,—უთხარ მე,—ნუ დაუკვებავთ და ეგრე აღარ მოგივათ.

ეჰ, შე დალოცვილო! მა რასა იქ, ფოშტის ფულის დრო რომ მოვა? საიდამ გამოიღოს გლეხმა ფული და ისევე ვაჭარს არ გამაართოს, მაგათ მეტ რო ფული არავის აქვთ? მითხრა ანდრიამ და ხმა ჩამაკმედინა.

რასაც ესენი აკლებენ გლეხებს იმას ამათი ცოლები უსრულებენ. ამ უკანასკნელთ მოაქვთ აქაურ სოფლებში კევი, ნემსები და სხვა წვრიმანები და ჰყიდიან გლეხის დედაკაცებზე შაურის საქონელს მანეთათ. ვინ იცის რამოდენა პურს აპარვინებენ ესენი აქაურ დედაკაცებს და მიეზიდებიან თავიანთ სახლებში. ერთმა ადამიანმა დამარწმუნა მე, რომ შარშან ერთმა გასათხოვარმა ქალმა თავის მშობლების ჩუმათ ერთს ვაჭრის დედაკაცს ექვსი თუმნის პური მისცაო და უბრალო რაღაც რაღაცები გამოართოვო, რომლებიც ერთი თუმანიც არ ეღირებოდაო. ახლა თქვენ იფიქრეთ ამ გასათხოვარს ქალს ერთი თუმნის რაღაც-რაღაებში რამოდენი პური უნდა მიეცეს? უეჭველია, ვაჭარზე გაყიდული ექვსი თუმნის პური თორმეტი თუმნის თუ არა, ნაკლების კი აღარ იქნებოდა...

მტაცებლობაში არც ზოგიერთი ჩვენი მოსამსახურე კაცები ჩამორჩენილან ვაჭრებს. ერთს საღამოს მე უგზო-უკვლოდ მივადექ ერთს სოფელს, რომლის სახელიც მე არ ვიცი. რადგანაც მე რუსული ტანისამოსი მაცვია ამ სოფლებს თურმე მოსამსახურე ვეგონე და მაშინვე შეატყობინეს მამასახლისს, რომელმაც ქათმების კრება და რაღაცა ფაცი-ფუცი დაიწყო. მე მივხდი, რომ ის ჩემთვის ფაცი-ფუცებდა და ამის გამო აღარ გავაგძელებინე ეს მოქმედება, რადგანაც მე არც მოსამსახურე ვარ და არც ქათმებისთვის დავიარებოდი სოფლებში. ეს თუმცა უბრალო შემთხვევაა, მაგრამ მე კი ძალიან დამაფიქრა. მე ვიფიქრე, უთუოთ ვინც აქ მოსამსახურე დაიარება, ზოგიერთ იმათგან შევიწროებაში არიან გლეხები, თორემ ესენი, ესე უთქმელად ქათმების მორთმევას არ დამიპირებდენ მეთქი. მე არ მოვსტყუვდი ამ ფიქრში. ეს შემთხვევა უამბე ერთს ჩემს აქაურს მეგობარს და იმან დამარწმუნა, რომ ჩემი ფიქრი მართალია, და ამის დასამტკიცებლად მოიყვანა შემდეგი შემთხვევა, რომელიც ბევრგან სხვაგანაც მიამბეს: ს. ქ—ში იმყოფება ეხლაც ერთი უფალი, რომელსაც, როდესაც პირველად მოსულა აქ, დაუბარებია სოფლის მოხელეები და გამოუცხადებია, რომ სოფელმა უნდა მისცეს ამას სახლი და, რადგანაც გლეხურს სახლში დადგომა არ უნებნია, ერთი კარგი სახლის მქონე თავის ნათესავისთვის მიუცემინებია ექვსი თუმანი ფული ქირათ. ამასთანავე ეს სახლი გაულესავი ყოფილა და კომლზე კაცი ურმით და თავიანთ კირით რამოდენიმე დღე მოუხმარებია პატრონისთვის ამის გალესვაში. თქვენმა მზემ კარგი ქირაა!... თუმცა მე დამარწმუნეს, რომ ამ უფალს ზემოხსენებული ფულებით თითონ არ უსარგებლიაო, მაგრამ მე კი არ შემიძლიან წარმოვიდგინო, რომ ისიც სულს არ წაეძლიოს და თავის ჯიბეშიც არ ჩაეცურებინოს. ხომ მოგეხსენებათ რა მიმტაცებელი ძალა აქვს ჭრელს აბაზებს!... ისე ვაჭრებსაც არ უყვართ ამათი შუქი და ბრიალი, როგორც ამისთანა უფლებს. ამ უფლის მოსვლას მოუთმენელად თურმე მოელოდა ეს იმის კარგი სახლის მქონე ნათესავი, რომელსაც, როდესაც ის მოსულიყო, სალამის მაგიერათ ეთქვა, ჩემი სახლების გალესვა შენ მოგელოდაო.

ეს უფალი ისეთი შესანიშნავი პიროვნებაა, რომ, ვგონებ, მომეტებული არ იყვეს, რადგანაც სიტყვამ მოიტანა, მკითხველს უთხრა რამოდენიმე სიტყვა ამის განსაკუთრებით ვითარებებზედაც, რომლებითაც ამან ალაყვავა და უკვდავ ჰყო თავისი სახელი ამ სოფელში: ეს თურმე გლეხებს არწმუნებს სიტყვით, მე თქვენკენა ვარო და საქმით კი ყველაფერს თავის მონათესავე მებატონეებს ჰკერძავს. ქრთამებს არ იღებს და ძღვენს კი თურმე უკან არ გააბრუნებს, მაგრამ ეს ხომ ქრთამი არ არის—ძღვენია. საშინლად ბევრს შრომობს და სულ იმას თურმე ჩივის, ბევრი საქმიანობისაგან ძალიან ვიღლებიო. მართლაც, შესაბრალია საწყალი! დღეში ერთს ან ორს საათს თავის სამსახურს თურმე ასრულებს, მერე მოდის სახლში, სადილს შეექცევა და შემდეგ საღამომდენ ტახტზე კოტრიალობს. მერე ქალების საზოგადოებაში დროს ატარებს. . . მრთელი კაცობრიობის მეცნიერება თურმე ამის თავშია და აი რას ლაპარაკობს: მე კაცების საზოგადოება არ მიყვარსო, ამისათვისაო, რომ მე ძალიან განათლებული ვარო და კაცებს რო ველაპარაკო, აბა იმათგან ისეთ რას შევიტყობ, რომ მე არ ვიცოდეო; ქალების საზოგადოება კი სულ სხვა არისო: იმათ წრეში ყოფნით კაცი სიამოვნობსო, თვალებს ატკბობს იმათი მშვენიერების მზერითაო, ყურებს იმათი ნარნარი ხმის მოსმენითაო. აი განგალა განგალა, უფალო N! ღირსი ხარ შენზე შესხდნენ, რადგანაც გამოიცან!

ამის გარდა ამ უკანასკნელს სტრიქონების წერის დროს მე მიამბეს კიდევ ერთი კარგი ამბავი. აქ ჰქონიათ ჩვეულებად ყოველ წელიწადს ოჩხარის ქნა. ოჩხარი იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე პირი, რასაკვირველია მუქთა-მჭამელთაგანი, დაპატიჟებს მრთელს სოფელს, თითო ორ-ორა ჯამს ღვინოს გადააკვრევნებს, და ამის შემდეგ თვითეული გლეხი აძლევს მეოჩხრეს, თუ პურის ოჩხარი იყო, რამოდენიმე კოდს პურს, თუ ღვინისა—რამოდენსამე თუნგს ან კოკა ღვინოს. როგორც მიანბეს წელიწადი ისე თურმე როგორ გავა, რომ თითო სოფელში რამოდენიმე პირმა ოჩხარი არ გააჩაღოს და აი ეხლაც ორი თუ სამი ღვდელი და რამდენიმე აზნაურიც აპირებენ თურმე ამ საქმეს. თქვენმა მზემ ესეც კარგი ღონის-ძიება არის მუქთა-მჭამლებისათვის გლეხების გასაცარცვად!....

ამით ვასრულებ ჩემს წერილს და მკითხველის მსჯელობას ვანდობ იმას, განა შესაძლებელიღაა ამის შემდეგ, რაც მე უანბე, გლეხების ცხოვრების გაუმჯობესობა, რა გინდა შრომის მოყვარენი იყვნენ ისინი?!...

(†) (†)

*) აქაურს ჩანახში 25 ხუთი გირვანქა პური ჩადის, ვაჭრებისა და ღვდლებისაში კი უფრო მეტი.

(*) ერთი მთიულისათვის ახალ-გორელ ვაჭარს მიეყიდნა ერთხელ დამპალი ჩითები. ამას ჯავრი მოხლოდა, დაკლა ვირის ჩოჩორი, კარგათ გაეკეთებინა და მოსატყუებელი ვაჭრისთვის ხბოს მაგიერათ მიეყიდნა. თითონაც კარგათ შეჭქცეოდა ამას და სხვებისთვისაც მიერთმივა. აი მისთვის ახალგორელებს ვირის ჭამიას ეძახიან. ეს ნამდვილი ფაქტია.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

ბონაპარტის და ეხლანდელი მართებლობის პარტია, რომელსაც წინაუძღვის მარშალი მაკ-მაჰონი, საშინლად დამარცხებულა უკანასკნელ კენჭის ყრაზედ. რესპუბლიკამ ხელ-ახლავ გაიმარჯვა და ამ პარტიის კანდიდატი მელიე ისევ ამორჩევია ხალხს ნაციონალურ კრებაში დეპუტატათ. ამ გამარჯვებას ნამეტურ იმისთვის აქცევენ დიდ ყურადღებას გაზეთები და აფასებს საზოგადოება, რომ მელიეს მოპირის-პირეთ წარმომდგარი იყო ორი ძლიერი პარტიისაგან ერთი კანდიდატი. ბონაპარტის და მარშალი მაკ-მაჰონის მომხრეთ, როდესაც ნახეს, რომ ცალ-ცალკე ვერ გაუწევენ ბრძოლას რესპუბლიკელებს, მაშინ ამათ თავისი კენჭები შეაერთეს და სურდათ მელიე გაეშავებინათ. მაგრამ ხალხის კენჭის ყრამ გამოაჩინა, რომ რესპუბლიკელ კანდიდატს ოთხი ათასი კენჭი მეტი მოუვიდა თავის მოწინაალმდეგეზედ.

რესპუბლიკელი გაზეთები სიამაყით ამბობენ ამ კენჭის ყრაზედ: „ხალხი თან და თან რწმუნდება თავისუფლების საჭიროებაზედ! სინათლე სულ უფრო და უფრო ძლიერდება და აჩენს თითოეული პარტიის ღირსებას! აღარ არის შორს ის დრო, როდესაც მონარხიული პარტია საფრანგეთში გაიბნევა ქვაზედ დამსხვრეულ ჭიქასავით.“

---

საფრანგეთის ოფიციალურ ჟურნალში გამოცხადებულია, რომ ოთხ დეპარტამენტში, რომელშიაც დეპუტატის ვაკანსია არის, უნდა მოხდეს კენჭის ყრა. მაკ-მაჰონს სურს თურმე, რომ ხალხმა კიდევ უფრო ბეჯითად გამოაცხადოს თავის ნება, როგორი მმართველობა სურს.

---

„რაპელში დაბეჭდილია ვიქტორ ჰუგოსთან გარიბალდის წიგნი:

ძვირფასო ჰუგო!

სულით და გულით გმადლობთ იმ ძლიერი და სახელოვანი მფარველობისთვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ ჩემს თხზულებას „ათასს“ („i Mille“). ეს ჩემი საბრალო კალმის ნაწარმოები თქვენგან იქნება დაველებელი ფრანცუზულ ენაზედ გადათარგმნისთვის

თქვენი კუბომდე ერთგული გარიბალდი.

ვიქტორ ჰუგომ შემდეგი პასუხი მისწერა:

ძვირფასო გარიბალდი!

თქვენმა წერილმა სრულიად გამიღვიძა ჩემი ძველი მეგობრობა და სიყვარული თქვენთან. გააგრძელეთ მოთხრობა თქვენს სახელოვან მხნეობაზედ. მოუთხარით ის იტალიას, საფრანგეთს და მთელს ცას ქვეშეთს. თქვენი „ათასი“ დაშთება ისეთ სახელოვანათ, როგორც ქსენოფონტის „ათი-ათასი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ათასმა“ განითქვა სახელი არა დამარცხებით, არამედ გამარჯვებით. როგორც ქსენოფონტი თქვენ სწერთ ეპოპეას, რომელშიაც მიგიღიათ მონაწილეობა. მაგრამ მასში სცხოვრებდა მარტო საბერძნეთის სული თქვენში კი განხორციელებულია სული მთელის ცას ქვეშეთისა.

შეხვევი ძვირფასო გარიბალდი. ჰუგო.

# ნარევი

— ოთხი წელიწადი არის, რაც ინგლისის მმართებლობამ ქალები ტელეგრაფის სამსახურში მიიღო. ზოგი ჰფიქრობდა, ვითომც ქალებისა და კაცების ერთად სამსახური თანამდებობის ასრულებას მოუშლიდა; მაგრამ ინგლისის ფოჩტისა და ტელეგრაფების დირექტორი ამბობს თავის მოხსენებაში, რომელიც იმან პარლამენტში შეიტანა, რომ ერთად სამსახურმა არა თუ არ დაუშალა მამა-კაცებს თავისი მოვალეობის ასრულება ტელეგრაფის გაგზავნ-გამოგზავნაზედ, ამ გარემოებისა-გამო საქმე კიდევ უკეთესად წავიდაო: მამა-კაცები უფრო თავ-დაჭერით არიან როგორც საქციელში ისე სიტყვა-პასუხში, ისინი დიდის კმაყოფილებით და თავაზით ეხმარებიანო ქალებს. ამ გვარი ამხანაგობა, ერთმანეთის დახმარება დიდათ გამოსადეგი შეიქნა იმ შემთხვევებში, როცა ტელეგრაფის სტანციებზედ ერთობ მრავალი დეპეშები იკრიბებაო. ერთი სიტყვით მამაკაცებისა და დედაკაცების ერთად სამსახურს არავითარი ცუდი შედეგი არ მოჰყოლიაო.

---

— მთელს ინგლისში (საკუთრად ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში) 1873 წელს რკინის გზაზედ უბედური შემთხვევების გამო, ოთხ ნახევარი მილლიონი მგზავ-

რებისაგან 1,350 კაცი მომკვდარა, ე. ი. თითო კაცი ყოველი 330 ათასის მგზავრისაგან.

---

— ჩრდილოეთის ამერიკის შტატების ერთს ქალაქში ეს მერვეჯერ არის, რომ სხვილი კაცების კლუბი თავის დაარსებას დღესასწაულობს. ამ კლუბში ირიცხება თურმე ოთხმოცდა ექვსი წევრი. თითოეული ამ წევრთაგანი ხუთ ფუთ ნახევარი და ოთხი გირვანქა იქმნება თურმე. ამ საზოგადოების წევრად ხუთ ფუთზედ უმსუბუქესი კაცი არ მიიღება. კლუბის პრეზიდენტად ერთი ოცდა ორის წლის კაცი აურჩევიათ, რომელიც ცხრა და მეოთხედს ფუთს იწონის თურმე.

---

— ბრიუსელის კონფერენციაში წარუდგენიათ ერთი საკვირველი ელზასისა და ლოტარინგიიდგან გამოგზავნილი თხოვნა. ამ თხოვნაში გამოთქმულია აზრი, რომ ომი კაცობრიობის დამამცირებელი და შემაწუხებელიაო. ამასთანავე მთხოვნელები შუამდგომლობენ, რომ ევროპაში ხალხთა-შორის სამსაჯულო დაწესდეს ყოველივე საქმის მშვიდობიანად გარდაწყვეტისათვის. ამას გარდა „მილლიონი ხალხის სახელით, რომელნიც ითრგუნვიან შემარცხვენელს და ბარბაროსულს უღელს ქვეშ“ თხოვნის დამწერნი მოითხოვენ, რომ კონფერენციამ მოსთხოვოს პრუსიას ელზასისა და ლოტარინგიისაგან ჯარების გაყვანა და ნება მისცეს ამ ორი პროვინციის ხალხს, რომ თავისი ბედი საყოველთაო კენჭის ყრით გარდაწყვიტოს.

---

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### მამულის მოყვარე ლიპარიტ ორბელიანი.

1027-წელს ბაგრატ IV-ე რომ გახდა მეფედ, მაშინ საქართველოს ჯარების სპასალარად იყო ლიპარიტ ორბელიანი. ესენი ორივენი ძალიან მამულის მოყვარენი იყვნენ; მაგრამ ბაგრატ მეფე, რადგან ჯერ არ იყო სრული-წლოვანი, ამისათვის ისრე კარგად არ ესმოდა მამულის სიყვარული და სასრგებლობა, როგორც ორბელიანს. ორბელიანს თავგადადებით უყვარდა საქართველო და მუდამ იმას სცდილობდა, რომ ქართველებს ერთობა ჰქონოდათ და საქართველო სხვა უცხო თემის მეფის მორჩილებაში არ ყოფილიყო და არც მისი რომელიმე ნაწილი სხვა რომელსამე უცხო თემის ხალხს სჭეროდა. ამისათვის მუდამ იმასა სცდილობდა, რომ საქართველოს ტერიტორიის ყველა ნაწილები ბაგრატ მეფისთვის დაემორჩილებინა. მაგრამ, რადგანაც მეფის შემდეგ ის პირველი პირი იყო და ყველაზე უფრო გამოცდილი, ამისათვის სხვა თავადიშვილები ამაში ეწინააღმდეგებოდნენ: შიშობდნენ, რომ ორბელიანი თავის მამულის მოყვარეობით დიდს სახელს დაიმსახურებს და მერმე მეფეზე უფრო დიდი ზნეობითი გავლენა ექნებაო, ვიდრე ჩვენო. მეფე თავის გამოუცდელობით და სიყმაწვილისა გამო სხვებს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე ორბელიანს. ორბელიანს ეს ძლიერ სწყინდა, მაგრამ მაინც და მაინც ჯერ ითმენდა, არ სურდა მეფესთან განხეთქილება. ამ დროს ტფილისი ემირებს ეჭირათ. თუმცა მეფესთან დაახლოვებული იმერეთის თავადიშვილები ეწინააღმდეგებოდნენ ორბელიანს ტფილის ქალაქის ემირისთვის წართმევაზე და სამეფოსთან შემოერთებაზე; მაგრამ ორბელიანი მაინც თავისას არ იშლიდა.

1036 წელს, როცა ბაგრატი 17 წლისა იყო, სომხეთის ემირი ფადლონი ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. ორბელიანს ეს დაცინვა ძლიერ ეწყინა და ამისათვის შეჰყარა თავისი მეჯარეები, მიიმხრო ქართლის ერისთავი აბაზაძე, კახეთის მეფე კვირიკე III-მე, სომეხთა მეფე დავითი და ჯაფარ ამირ ტფილელი, დაეცა ფადლონს და ძალიან დაამარცხა. ამ ომში ლიპარიტმა და აბაზაძემ ძალიან გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებამ ორბელიანი, ამისი შვილი იოანე და იოანე აბაზაძე ისრე გაამხნევა და წააქეზა, რომ ამათ ამავე წელს მოინდომეს ტფილისის განთავისუფლება არაბების ემირის ჯაფარისაგან. ამ განზრახვით ამათ გამოიტყუეს ამირ ჯაფარი მუხათ-გვერდს, შეიპყრეს და წარუდგინეს ბაგრატს; მაგრამ ბაგრატმა ის განათავისუფლა და ჯაფარი ისევ ტფილისში ამირად დაჯდა. ამას შემდეგ ლიპარიტი და ჯაფარი ერთმანეთის მტრებად შეიქმნენ. ორბელიანს ძალიას ეწყინა ჯაფარის განთავისუფლება და ამისათვის მოიწადინა ტფილისის ხელმეორედ წართმევა. მაგრამ მცირეწლოვანებისაგამო ბაგრატმა ჯერ არ იცოდა პატრიოტობის ღირსება და ეწინააღმდეგებოდა ორბელიანის განზრახვას; ორბელიანმა კი ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი და მტრისაგან არხაინი, როცა იმის ტერიტორიის ნაწილები ყველანი ერთად იქნებიან შეერთებულნი. ამისთვის ლიპარიტი უმტკიცებდა ბაგრატს, რომ ტფილისის დაპყრობა საჭირო არის და მთელს ხალხს უნდაო. მეფე არ ეთანხმებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეფე დაარწმუნა, რომ იმას თვითონვე ეწინამძღოლა ჯარისთვის და მისდგომოდა ტფილისს. 1038-წელს თუმცა ბაგრატი დათანხმდა, გახდა ჯართა წინამძღოლი, მოადგა ტფილისს, მაგრამ ტფილისის აღების ხერხს მეფეს მაინც ლიპარიტი ასწავლიდა. იმას მოდგნენ ორის მხრით: მესხები და ქართლელები დასავლეთიდგან მოადგნენ, კახელები კი აღმოსავლეთის მხრით. ორ წლის განმავლობაში ტფილისი და მისი ემირი ჯაფარი დამწყვდეული ჰყავნდათ: ამისგამო ტფილისში ისრეთი შიმშილი ჩამოვარდა, რომ ლიტრა ვირის ხორცს ხუთასი დრამით იყიდდეს. ბოლოს ჯაფარი ისრე შეწუხდა, რომ მოამზადა ტივები და ღამე განჯაში გაპარვას აპირებდა. მაგრამ ამ დროს ბაგრატის ბანაკში უეცრად ასტყდა უთანხმოება, იმისმა ვეზირებმა სთქვეს, რომ არ გვსურს ტფილისის დაჭერა და ჯაფარისათვის გმირობის ჩამორთმევაო. ეს საქმე მოახდინეს ლიპარიტის ჯიბრზე. იმათ იფიქრეს, რომ ტფილისი თუ დავიჭირეთ, ლიპარიტი ძალიან გაძლიერდებაო. ლიპარიტისაგან ფარულად დაჰკივლეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკვიდრეს ამავე ტფილისსავე ზედა. ამის შემდეგ მოეყარა აფხაზთ მეფე ქალაქსა, დაემტერა კახთა, და მიერიდგან შეიქმნა ლიპარიტ ქვე-გამხედვარად თავის პატრონისაგან (იხ. ქართ. ცხოვ 222 და 223 კაბადონები). ამ სახით იმერეთის თავადაზნაურობამ ტფილისი ისევ დასტოვა ემირის ხელში.

ქართლის ცხოვრება არ ამბობს მიზეზს, რატომ არ უნდოდათ მეფის მრჩევლებს ტფილისის დაჭერა; მაგრამ, როგორც სჩანს საქმეების ისტორიულად მსვლელობისა და მემატიანეს ლაპარაკისაგან, იმერეთის თავადაზნაურობას ძალიან ეშინოდა, რომ ტფილისის დაჭერის შემდეგ მეფე ქუთაისში აღარ იცხოვრებსო; არამედ გადავა აღმოსავლეთის საქართველოში და თავის წინაპრების სატახტო ქალაქს ტფილისში. ამ განზრახვით ურჩევდა მეფეს იმერეთის თავადიშვილობა, რომ ტფილისი არ წაერთო ემირისთვის. ბაგრატი პატარა იყო და არ ესმოდა იმათი რჩევის მიზანი და რასაც ისინი ეტყოდნენ, ყველაფერში იმათ ეთანხმებოდა, უარს ამბობდა ტფილისის დაჭერაზე. ლიპარიტს უარი ძლიერ სწყინდა, და ბოლოს ეს გახდა ბაგრატისა და ლიპარიტის სიძულვილის და გადაკიდების მიზეზი. მაგრამ კახელები ლიპარიტზე უფრო მომეტებულად შეწუხდნენ, რომ ჯაფარი ისევ ტფილისში გააემირეს. ამისათვის იმათ მეფე ძლიერ გაკიცხეს. მეფემ კახელებისაგან შეურაცხ-ყოფა იწყინა, შეჰყარა ჯარები და გაილაშქრა კახეთის დასასჯელად. მიქელ-გაბრიელის მთაზე მოუხდათ ომი, მეფემ დაამარცხა კახელები, დაიჭირა პანკიზის ერისთავი სტეფანე ვარჯანის ძე, ძიზიყის ერისთავი ვაჩე, შტორის ერისთავი რადჯი და ინგილოების ერისთავი, რომელიც იჯდა მაჭიში ანუ მაწეხში. მერმე გადვიდა თიანეთში და დასწვა მშვენიერი დარბაზი ბოდოჯისა, რომელიც კვირიკე III-მემ ააშენა.

ამის შემდეგ კახელებმა ცხადლივ ველარ გაბედეს მეფის წინააღმდეგობა; მაგრამ ლიპარიტი არ გაჩერდა. იქას მეფის მტერობა გაუცხოვლდა. მეფე და ლიპარიტი ისრე გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ ლიპარიტის დამშვიდება მეფემ ველარ მოახერხა. ბაგრატი კახელებს რომ ეომებოდა, ლიპარიტმა საბერძნეთიდგან გამოიწვია ბაგრატის ძმა დიმიტრი, რომელიც ბიორგი მეფეს ოსეთის მფლობელის ალდას ქალისაგან ჰყავნდა ნაშობი და დიმიტრის დაი ირინე იმპერატორს კასტანტინე მონომახს ცოლად ჰყავნდა, შეჰყარა თავისი ჯარებიცა და თუმცა ვერ დაამარცხა, მაგრამ ბაგრატ მეფე 1041 წელს ლიპარიტს იძულებული შეურიგდა და მისცა ქართლის ერისთაობაცა. ამის შემდეგ 1042 წელს ჯაფარი მოკვდა და ბაგრატმა ტფილისი დაიჭირა. მაშინ კახელები შეურიგდნენ ბაგრატ მეფეს და მიულოცეს ტფილისის დაპყრობა. მაგრამ ლიპარიტი მაინც არ დაწყნარდა. 1045 წელს იმან ბაგრატს წაართვა (სომხების) ანის ქალაქიცა; ამის შემდეგ მთელმა საქართველომ დაიწყო ტოქვა. თავად-აზნაურობა ორად გაიყო. ერთს უნდოდა მეფედ ბაგრატის ძმა დიმიტრი. ამათ მოთავედ იყო ლიპარიტი. კახეთმაც დიმიტრის მხარე დაიჭირა. ამასობაში ბაგრატმა შეჰყარა თავისი ჯარები და 3000 ვარანგნი (варяги) მოიწვია და გამოუცხადა ლიპარიტს ომი; ლიპარიტმა ის დაამარცხა. მაგრამ ლიპარიტსაც ომში მოუკლეს დიმიტრი, ბაგრატის ძმა, რომლის გამეფება იმას უნდოდა. ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისის განხეთქილებასა და უქმნა მუდარი ლიპარიტს, და მცირედისა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა, ხოვლესა, და რა ცნა ლიპარიტ მოსვლა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით; შეიქცა ბაგრატ და წარვიდა იმერეთს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კალმახისა და არტანუჯის ერისთავებმა სულამ და გრიგოლმა მიიმხრეს მესხეთის აზნაურები და უხმეს მეფე ბაგრატს. ბაგრატი მოვიდა თავის ჯარითა; მაგრამ ლიპარიტმა კიდევ დაამარცხა, დაიჭირა სულა და გრიგოლი და შევიდა ქართლში. მაგრამ 1046 წელს ლიპარიტი ბერძნებს მიეშველა და მაშინ ის თურქებმა დაატყვევეს. ამ საქმემ ბაგრატი დაამშვიდა. ლიპარიტის შვილებმა, იოანემ და ნიანიამ, ქართლის თავად-აზნაურობამა და ტფილისელებმა ისევ მოიპატიჟეს ბაგრატი და ჩააბარეს ქართლი. მაგრამ ლიპარიტი თურქებმა განათავისუფლეს და ის წავიდა საბერძნეთში, მოიყვანა ჯარები და ისევ დაიჭირა ქართლი. ბაგრატი ისევ იმერეთში წავიდა; ამის შემდეგ ლიპარიტმა დაიწყო ქართლში თავისნებაზე მოქმედება და ხალხს ძალიან სასტიკად ეპყრობოდა. ამისათვის მესამე წელს ქართლელებმა ის დაიჭირეს და წარუდგინეს ბაგრატს. ურთიერთი ძმა-ძმის მკვლელობის ომით შეწუხებულ ხალხს ლიპარიტის მოკვლა უნდოდა; მაგრამ ბაგრატმა აპატია და თავისი მამულები დაუბრუნა. ლიპარიტის მწარე სვე ამით მაინც და მაინც არ შემსუბუქდა. ხალხმა ის ძლიერ მოიძულა. ეს ვერ მოითმინა ამპარტავანმა, სულით და გულით მოუდრეკელმა ლიპარიტმა, წავიდა კოსტანტინეპოლში და იქ მოკვდა, და წამოიღეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიტანეს და დამარხეს კაცხს, სამარხოსა, მამათა მათთათანა.

დასასრულს ბაგრატზე და ლიპარიტზე ის უნდა ვსთქვა, რომ ესენი თუმცა ერთმანერთის მტრები იყვნენ; მაგრამ ბარაქალა ორივეს, მეტადრე ლიპარიტს, რომ არასოდეს მტერს ნებას არ აძლევდნენ საქართველო აეოხრებიათ. როცა ესენი ერთი სამეფოში, მეორე სამფლობელოში სცხოვრებდა „სიბრძნე-სიცრუვის“ არაკის ლეშზე მყოფ ძაღლებივით ულრინავდნენ ერთმანერთს, მაგრამ საზოგადო მტერი რომ მოადგებოდა საქართველოს, ერთს მიზანს მისდევდნენ და მტერს კომბლით თავზე კაკალს ამტვრევდნენ. მაგრამ მეფე ბაგრატი მამულის მოყვარე კახეთის ქართველებს ძლიერ ცუდათ ეპყრობოდა. ამაში კი ეს კაცი მოსაწონი არ იყო.

ინგილო ჯანაშვილი.

---

# განცხადებანი

---

**ბიბლიოგრაფიული ცნობა.**

იბეჭდება და შემოდგომაზედ გამოვა გასასყიდათ „საყმაწვილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

დაიბეჭდა და ისყიდება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხეს ანნა მუსხელოვისას“ სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებელად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის (Руководство къ практическому изученію русскаго языка для грузинъ) შედგენილი გ. კალანდარიშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.

ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ვხსნი ქუთაისში კანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შავად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა.

მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ეგრეთვე ახალის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინიდისიანად დავაკმაყოფილო საქმეების მქონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი,; მივცე მათ დარიგება და დავაყენო ისეთ საიმედო გზაზედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. ფასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

კოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

---

## ტფილისის სავაჭრო ბანკი.

ტფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 24 აგვისტოდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### იღებს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,
ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
ექვსი თვით . . . . . . . . . 7 %
ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
ექვსი თვით. . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში
ა.) სარგებლიანი ქაღალდებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . . . . 8%
ბ.) ვექსილებით უზრუნველყოფილს $8^1/_2$%
3.) ვექსილების დაცვლაში:
ექვსი თვით . . . . . . . . . 9%
4.) უზრუნველ ყოფილის სოლო-ვექსილების დაცვლაში:
ექვსი თვით. . . . . . . . . 9%
ცხრა თვით . . . . . . . . . $9^1/_2$
5.) საქონლის გირაოში:
რომელიც მოტანილია . . . . . 9 %
რომელიც გზაშია . . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %
2.) შესანახად მიბარებულში
ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %
ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %
გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %
დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

---

უფ.—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდგან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, ქაბას შკოლაში, კონსულის ქუჩაზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ კრიჟანოვსკის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, საცა მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

---

## ისყიდება 10,000 ლამპა,

რომელნიც ახლად მოტანილი არიან საზღვარს გარეთიდგან. ეს ლამპები ბევრად უკეთესია უწინდელებზედ, უკეთესი მოწყობილობის არიან, ასე რომ ცეცხლი არ გაუჩნდებათ. ისყიდება აგრეთვე კანდელები და ყოველივე ლამპებისათვის საჭირო ნივთები სხვა და სხვა სახისა და ფერისა.

**ლამპების საწყობი** მაქვს შაბუროვის სახლებში, სასახლის წინ და **მაგაზინი** — კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ქალაქს გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ მაგაზინში გამოგზავნოთ მოთხოვნილება.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უწინდებურად ყურადღებას მიაქცევს ამ ჩემს განცხადებას.

ცატუროვი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Сентября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემნი: ს. მელიქოვი და ს. მესხი. —დროებითი რედაქტორი პ. ლორთქიფანიძე